ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 443

“ 23 ” სექტემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისგან შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) გათავისუფლების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ და „დ.ზ“ ქვეპუნქტების, 127[2] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულების“ 10.3 პუნქტის, ასევე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს/კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს/კ. 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 სექტემბრის №25.1551.1768 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს/კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე პერიოდში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებული №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულების“ 4.1.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 7.2.2

პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) გათავისუფლების თაობაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

პროექტი

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი ____ / _____ / 2025 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ქონების მართვის სააგენტო** (შემდგომში: **სააგენტო**), წარმოდგენილი [•] (პ.ნ.: [•]) მიერ;
მეორე მხრივ, შპს „ქართლიენერჯი“ (ს.კ.: 404561568, შემდგომში: **მოიჯარე/კომპანია**) წარმოდგენილი [•] (პ.ნ.: [•]) მიერ,
შემდეგში ერთობლივად წოდებული, როგორც: **მხარეები**,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების“ (შემდგომში: **ხელშეკრულება**) 10.3 პუნქტის, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის [____] №[_____] განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის [____] №[_____] განკარგულების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1.1. ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.1.1. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან შესაბამისი ნებართვ(ებ)ის / თანხმობ(ებ)ის მოპოვება და ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტთან შეთანხმება არაუგვიანეს 2025 წლის 30 ნოემბრისა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია მოიჯარის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადით, ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში, სააგენტოს წერილობითი თანხმობით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტით დადგენილ ვადას;

1.2. ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.1.2. დამტენების განთავსება და ფუნქციონირების დაწყება არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა.

2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

3. ხელშეკრულების სხვა პირობები, რომლებიც არ იცვლება წინამდებარე შეთანხმებით, რჩება უცვლელი. წინამდებარე შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე შეთანხმებას.

4. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. შეთანხმების გაფორმებასთან და საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდას უზრუნველყოფს მოიჯარე.

6. წინამდებარე შეთანხმება, შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ

სააგენტოს, ხოლო თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

ხელმოწერები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო
[•] (პ.ნ.: [•])

_____

შპს „ქართლიენერჯი“ (ს.კ. 404561568)
[•] (პ.ნ.: [•])

_____